# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

N 2384 წლის 2020 წლის 10 დეკემბერი ქ. თბილისი

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის $10^{1}$ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა საჯარო სამართლის იურიდიულ პირმა – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ „საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის“ პროგრამისა („დევნილთა ინიციატივების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამა“, „ეკონომიკური აგენტის მხარდაჭერის პროგრამა“, „სასათბურე მეურნეობების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამა“) და „სარეინტეგრაციო დახმარება საქართველოში დაბრუნებული მიგრანტებისთვის“ პროგრამის („საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამა“) ფარგლებში,

ბენეფიციართა თვითდასაქმების მიზნით, ზემოაღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული საქონლისა და სამუშაოს შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი გახარია**